შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№43 (10.098)

18-25 ნოემბერი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება აქტიურ რეჟიმში გრძელდება. მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სოფელ მირზაანში ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმთან მისასვლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

პროექტი დასრულების ეტაპზეა. ინფრასტრუქტურული სამუშაოების ფარგლებში 2 668 გრძივი მეტრის საავტომობილო გზის მონაკვეთზე მოეწყო ორი ფენა ასფალტ-ბეტონის საფარი, სანიაღვრე არხები, ეზოებში მისასვლელი გზები, ასევე მოეწყო საპარკინგე ადგილი, ამჟამად მიმდინარეობს რეაბილიტირებული გზის მონიშვნა.

პროექტს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს და მისი ჯამური ღირებულება 1 250 000 ლარია.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ასევე დაათვალიერა დედოფლისწყაროს სიღნაღის მუნიციპალიტეტთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

,, აღნიშნული გზით გადაადგილდებიან სიღნაღიდან ნიკო ფიროსმანის მუზეუმში მომავალი ტურისტები, ასევე ესაა დედოფლისწყაროსა და სიღნაღის დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, ამასთან, ამ გზით ერთმანეთს უკავშირდება არბოშიკი, მირზაანი და ზემო მაჩხაანი. ამიტომაც ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია როგორც დედოფლისწყაროელებისთვის, ასევე ჩვენი მუნიციპალიტეტის სტუმრებისთვის“-აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

პროექტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი დედოფლისწყაროს თვითმმართველობასთან ერთად ახორციელებს. მისი ღირებულება 12 000 000 ლარამდეა და მომავალ წელს დასრულდება.

C M Y K

ემიგრაცია და საქართველო

„როდესაც უყურებ, შვილები როგორ იზრდებიან უშენოდ, როცა ხედავ, როგორ ხდები ყველასთვის ფულის საგეჭდი მანქანა, როგორ გცილდებიან ემოციურად შენ შვილები, გრძნობ, როგორ იფიტები, თუმცა ხვდები, რომ შენი შვილებისთვის მთებსაც გადადგამ. ეს გაიძულებს გაუძლო იმ ყველაფერს, რისი გავლაც ყოველდღიურად გიწევს. ვერც შენს გრძნობებს უზიარებ ვერავის, რადგან მარტო ხარ... სრულიად მარტო“-ეს ლალა ჩოფიკაშვილია, ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მეცხრეკლასელი მოსწავლე. მან და მისმა კლასელებმა ემიგრაციის თემაზე მუშაობა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „მიწის ყივილი“ ისწავლეს. საპროგრამო მასალის მიღმა, ემიგრაციის თემაზე უამრავი მასალა იყო მოსაძიებელი- ემიგრაციის არსი, მისი მიზეზები, ემიგრაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები და ბოლოს-„ემიგრაციის სევდა“. სწორედ ეს ჩანახატი შემოგთავაზეთ.

მოსწავლეებმა თემაზე მუშაობა სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარებით დაიწყეს. სკოლასა და საახლობლოში გამოკითხვის შედეგად დაადგინეს ემიგრაციის მიზეზებიც და მისი თანმდევი შედეგიც: ***„გამოკითხვის შემდეგ გამოვლინდა, რომ ადამიანების უმეტესობა ფინანსური მდგომარეობისა და უმუშევრობის გამო გადაიხვეწა ქვეყნიდან“. შედეგი კი როგორც იმ ქვეყნისთვის, საიდანაც მიდიან, ისევე სავალალოა, როგორც იმ ბავშვებისთვის, რომელთაც დედების გარეშე უწევთ დარჩენა. ყველა ბავშვი, ვისი მშობელიც ემიგრაციაშია, დაუფიქრებლად ერთსა და იმავეს პასუხობს- ურჩევნია, მატერიალურად უჭირდეს, ვიდრე დედის სითბო მუდმივად ენატრებოდეს.***

პროექტის „ქართველები და ემიგრაცია“ პრეზენტაციას ესწრებოდნენ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგები, დირექციის წარმომადგენლები. სტუმრებს შორის კი იყო ერთ-ერთი მშობელი, რომელიც დიდი ხანია, ემიგრაციაშია და ახლაც, შვილის სანახავად დროებით ჩამოსული, რამდენიმე დღეში კვლავ სტოვებდა სამშობლოს. დამსწრე საზოგადოებამ ისაუბრა როგორც პროექტის, ასევე ემიგრაციის შესახებ და ყველამ ერთად აღნიშნა, რომ მიგრაცია ჩვენი ქვეყნის სერიოზული პრობლემაა და ძალიან კარგია, როდესაც ამაზე ფიქრს იწყებს მომავალი თაობა. რაც შეეხება პროექტის მონაწილეებს-ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ემიგრაციაში წასვლას არ დაგეგმავენ. თუ სასწავლებლად გადაწყვეტენ წასვლას უცხოეთში, მხოლოდ იმიტომ, რომ სამშობლოში დაბრუნდნენ და მიღებული ცოდნა თავიანთ ქვეყანას მოახმარონ.

მეცხრეკლასელი მოსწავლეების კლასის დამრიგებელი და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი რუსუდან გონაშვილია. პრეზენტაციის დაწყებამდე მან აღნიშნა: „წელს პირველად შევედი მათ კლასში. ასეთი აქტიური მოსწავლეები მე არ მყოლია. ბავშვებმა თვითონ აარჩიეს თემაც და მასზე მუშაობაც დამოუკიდებლად გადაწყვიტეს. ამ თემის ინსპირაცია მათთვის გახდა მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყივილი“ და ასევე ინფორმაცია, რომელიც მე რამდენიმე ხნის წინ მოვიძიე. ინფორმაციაში საუბარი იყო იმაზე, თუ რომელი ერის წარმომადგენლებისთვისაა დამახასიათებელი ყველაზე მეტად ნოსტალგია. კვლევის შედეგად ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სამშობლოს მონატრება ახასიათებთ ქართველებს, ინგლისელებსა







და ესპანელებს. ბავშვებმაც გადაწყვიტეს, ემუშავათ თემაზე, რომელიც მათთვისაც ძალიან ნაცნობია და მტკივნეული. დღეს მეც თქვენთან ერთად ვისმენ პროექტის პრეზენტაციას“. რუსუდან გონაშვილი საკუთარ მოსწავლეებს პრეზენტაციის დასრულების შემდეგ სერიოზულ ოპონირებას უწევდა. პროექტის ავტორებმა ეს გამოცდაც წარმატებით ჩააბარეს.

პრეზენტაციის ბოლოს მოწვეულ სტუმრებს დაურიგდათ ჟურნალი, რომელიც მოსწავლეებმა თავად შეადგინეს. აი, მისი ავტორებიც: ლიკა ჯინაშვილი-იმუშავა ჟურნალის დიზაინსა და ბლოგზე; ლალა ჩოფიკაშვილი-იმუშავა პრეზენტაციაზე, გამოკითხვასა და ჩანახატზე; ვალენტინა ხაჩატურიანი-მოიძია ინფორმაცია ემიგრაციის შესახებ; მარიამ გონაშვილი-მოიძია ინფორმაცია ემიგრაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე; თეონა ხუციშვილი-დაამუშავა გამოკითხვის პასუხები და დაბეჭდა ჟურნალი; სტანისლავ დანილოვი-მოიძია ინფორმაცია ემიგრაციის მიზეზების შესახებ; იოანე მიქელაძე-მოიძია ინფორმაცია ემიგრაციის მიზეზების შესახებ.

***

ბოლო ორი წლის განმავლობაში, 2021-2022 წლებში საქართველოდან ემიგრაციაში წავიდა 87 222 ადამიანი. საქართველოდან გასულთა მონაცემებს ყოველ წელს საქსტატი აჯამებს. რიცხვები აჩვენებს, რომ პანდემიის შემდეგ საქართველოდან იმაზე ორჯერ მეტი ადამიანი გადის სხვა ქვეყნებში საცხოვრებლად, ვიდრე უკან ბრუნდება ემიგრაციიდან.სტატისტიკის მიღმა კი ადამიანური ისტორიებია, სევდითა და ტკივილით სავსე.

„ზუსტად 7 თვე გახდა რაც აქ ვარ. ვმუშაობ, არ ვწუწუნებ სამსახურზე, არ ვარ ცუდ ოჯახში, პირიქით, შეძლებისდაგვარად რაც შეუძლიათ, მაქსიმალურად მეხმარებიან, უბრალოდ, ვერ ვეგუები. ვერ ვეგუები ჩემი შვილების გარეშე ყოფნას, ვერ ვუძლებ.

ხან ვფიქრობ, რომ რამდენ დედას ჰყავს შვილი დატოვებული, მხოლოდ მე ხომ არ ვარ, მაგრამ მაინც ვერ ვეგუები. სული მეხუთება. მგონია რომ ყელში ვიღაც მიჭერს ხელს და ვიხრჩობი. არ ვიცი რატომ ვწერ და რას ვითხოვ თქვენგან. მხარდაჭერას? შევძლებ, გამომივა? თუ დავნებდე და წავიდე? მგონია, რომ არ აღმოვჩნდი საკმარისად ძლიერი საიმისოდ, რომ ამ ყველაფერს გავუძლო“, - ეს ახალგაზრდა ქალის პოსტია ფეისბუკის დახურულ ჯგუფში, რომელიც იტალიაში მცხოვრებ ათასობით ქართველ მიგრანტს აერთიანებს.

ჯგუფის წევრები ქალს ამხნევებენ, რომ ესმით მისი, რომ თვითონაც იგივე, არცთუ მარტივი გზა გაიარეს. ზოგი ურჩევს შვილებს დაუბრუნდეს, ვინაიდან ამ დროს ველარ დაიბრუნებს, ზოგი ეუბნება, რომ 7 თვე ცოტაა ადაპტაციისთვის, გზადაგზა ყველაფერს შეეჩვევა და თუკი უკვე იტალიაშია და სამსახურიც უშოვია, სჯობს დარჩეს და ბავშვების მომავლისთვის ფული მოაგროვოს.

“იცი რა ცუდად ვარ? სახლში სამი შვილი მელოდება და ჩემს ტანსაცმელს ეხუტებიან. იცი რა საშინელებაა? მაგრამ ეცადე მუსიკებს მოუსმინო, ფილმებს უყურო ყურადღების გადასატანად, როცა დრო გექნება. ეცადე არ დაისტრესო, აიყვანე თავი ხელში”, - ურჩევს ერთ-ერთი ქალი ახლად ჩამოსულს.

ეს საქართველოს დღევანდელი რეალობაა. მწარე რეალობა. შვილები დედის ტანსაცმელს ეხუტებიან, ენატრებათ მისი სუნი, ალერსი. მერე თანდათან ეჩვევიან, საჩუქრებიც მეტად ახარებთ, დედასთან ვირტუალური ურთიერთობაც საკმარისი ხდება მონატრების შესამსუბუქებლად...

მაგრამ... არის დღეები, წუთები, მომენტები, როცა დედასთან გულის გადაშლა გინდა, მისი ალერსი და რჩევა გჭირდება. ამას ვერაფერი ცვლის...

ყველა ქართველს ოჯახთან ერთად უყვარს საქართველო. საკუთარ ფესვებს შორდება, მაგრამ მუდმივად ტკივილამდე ენატრება ის მიწა-წყალი, სადაც დაიბადა და გაიზარდა. ამიტომაცაა, დროებით წასული ყველა ჩვენი თანამემამულე სამშობლოში დაბრუნებას სიბერეში მაინც გეგმავს. ადრე, ემიგრაციაში წასულებს თან ქართული მიწა მიჰქონდათ, ერთი მუჭა მიწა...დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ რეალობა შეიცვალა, უცხო მიწაზე სამუდამო განსასვენებლის პოვნას არავინ გეგმავს.

„მაინც დავაბრუნე. ანდერძი შევასრულე.
პარიზში კარგი კრემატორიუმია.
დიდი კაცის ფერფლი ჯიბის კოლოფში ეტევა.
ანანური ღრმა ხევშია ჩაწოლილი...

მწვანე მთები... სწრაფი არაგვი... ძველი საყდარი და შერუჯული გალავანი.
ავტო შევაჩერე.
ზევით ავედი.
ანდრო გავიხსენე და ის ნავლი ხევის ნიავს გავატანე“-„მიწის ყივილი“.

ინგა შიოლაშვილი

სტატისტიკა მზარდი, მოტივაცია კიდევ უფრო მზარდი!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის წარჩინებულ მოსწავლეებს პორტაბელური კომპიუტერები გადაეცათ. საზეიმო ღონისძიება ხორნაბუჯის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა.

საბაზო საფეხურის წარჩინებით კურსდამთავრებულ 33 მეათეკლასელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჩუქარი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გოჩა სამუკაშვილმა**, მერის მოადგილემ - **მალხაზ მერაბიშვილმა**, მერიის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ თამაზაშვილმა** და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა **მაკა ჯანაშვილმა** გადასცეს.

წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოვება წლებია ტრადიციად იქცა მთელი ქვეყნის მასშტაბით. საამაყოა, რომ წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში სტატისტიკა მზარდია 7 მოსწავლით წინა წელთან შედარებით. რედაქცია დაუკავშირდა სხვადასხვა სკოლებს და მათ წარჩინებულ მოსწავლეებს, რათა პირადი განწყობა და ემოცია მოგვესმინა მათგან. დღეს ჩვენ 33-ვე წარჩინებულ მოსწავლეს სახელობით გავაცნობთ ჩვენს მკითხველს, ხოლო ზოგიერთი მათგანისგან კითხვებზე პასუხებსაც მოვისმენთ-**თუ რამდენად შეცვალა მათი ყოველდღიურობა ახალმა რეალობამ, რამდენად ეამაყებათ საკუთარი შრომით და ცოდნით მოპოვებული წარმატება და აუმაღლდათ თუ არა მოტივაცია სამომავლოდ ახალი და ახალი გამარჯვების მისაღწევად.**

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით 33 გამარჯვებულში 13 მოსწავლე პირველი საჯარო სკოლიდანაა და მხოლოდ ერთი პედაგოგის-მარინა ინასარიძის სადამრიგებლო კლასიდან. რაოდენ უჩვეულოდაც არ უნდა ჩანდეს, ფაქტი ასეთია.

მოსწავლეთა პორტაბელური კომპიუტერებით დაჯილდოვების თაობაზე საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს ქ-ნ მაკა ჯანაშვილს ვესტუმრეთ, რათა მისგან დაწვრილებით მიგვეღო ინფორმაცია, თუ რა კრიტერიუმებით ხდება დაჯილდოვება, რამდენად მზარდია სტატისტიკა და როგორია მზაობა რესურსცენტრის მხრიდან არამხოლოდ ამ თემის, არამედ ზოგადად სკოლების საგანმანათლებლო პროცესების მხარდაჭერის კუთხით.

მაკა ჯანაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი-მოგახსენებთ, რომ 2022-2023 სასწავლო წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებიდან პროექტის ფარგლებში, რომელსაც აწარმოებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან ერთად, დაჯილდოვდა 33 წარჩინებული მოსწავლე. მათ საჩუქრად გადაეცათ პორტაბელური კომპიუტერები. შეგახსენებთ, რომ პროგრამით საჯარო სკოლის ის მოსწავლეები სარგებლობენ, რომლებმაც საბაზო საფეხური წარჩინებით დაამთავრეს და მათი საფეხურის ნიშანი 10 ქულაა დამრგვალების გარეშე. პროექტის მიზანი გახლავთ მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა და ინფორმაციული თუ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების მეთოდების გაძლიერება. 2021-2022 სასწავლო წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან პორტაბელური კომპიუტერით დავაჯილდოვეთ 26 წარჩინებული მოსწავლე. წელს ეს რიცხვი კიდევ გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს , რომ სწავლის სურვილი და მოტივაცია ჩვენს მოსწავლეებში კიდევ უფრო გაზრდილია.

თითოეულ მოსწავლეს ვულოცავ ამ წარმატებას და ვუსურვებ კვლავაც მრავალგზის წინსვლას. ჩვენ, მათი ხელშეწყობისა და თანადგომისთვის მზაობას მუდმივად დავუჭერთ მხარს. მადლობას ვუხდი მასწავლებლებს გაწეული შრომისთვის და ვუსურვებ, კიდევ მრავალი ნიჭიერი თაობის აღზრდას ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის.

აქვე აღვნიშნავთ, რომ რესურსცენტრი აქტიურად ადევნებს თვალს სკოლებში მიმდინარე სასწავლო პროცესს. დღეს სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ ჩვენმა ბავშვებმა მიიღონ საუკეთესო განათლება .თითოეული მასწავლებელი მუდმივად ჩართულია ფორმალური და არაფორმალური განათლების მიმართულებით. ისინი მუდმივად ზრუნავენ თვითგანვითარებისთვის და უკეთესი შედეგისთვის. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ხშირად მიმართავენ არაფორმალურ განათლებას, რომელიც ფაქტობრივად ფორმალური განათლების გაგრძელებაა და ხელს უწყობს მოსწავლეებში წიგნიერების, ციფრული, სოციალური და კულტურული უნარების განვითარებას. ამ უნარების დაუფლებით მოსწავლე ხდება თავდაჯერებული და ის გამოთქვამს მზაობას დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი განხორციელებული პროექტი და აქტივობა, რომლებიც სკოლაში მიმდინარეობს. დღეს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლებიდან არ მოიძებნება სკოლა, რომელიც არ არის ჩართული მსგავსი ტიპის აქტივობებში. მაგ; სკოლებში ჩამოყალიბებულია ეკოკლუბი, რომელიც აერთიანებს მთელ სასკოლო საზოგადოებას. ხელს უწყობს სასკოლო პერსონალს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის თანამშრომლობს. მოსწავლეებს უვითარებს გუნდური მუშაობის და პროექტების მართვის უნარებს. ასევე ყოველწლიურად სკოლებში ტარდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადები, სადაც გამარჯვებული გუნდები ერთვებიან მუნიციპალურ თამაშებში, ხოლო პირველ ადგილზე გასული გუნდები კი ასპარეზობას რეგიონალურ ეტაპზე აგრძელებენ. სამოქალაქო განათლების პედაგოგების აქტიური ჩართულობით იგეგმება და ხორციელდება უამრავი აქტივობა სკოლაში, რომლებიც მიმართულია მოსწავლეებში ჯანსაღი უნარების ჩამოყალიბებისკენ. დამეთანხმებით, რომ მოტივაციისთვის და იმისთვის, რომ ჩვენი მოსწავლეები ყოველთვის იყვნენ მოტივირებულები და აქცენტი იყოს გაკეთებული სწავლის ხარისხზე, ამის ერთ-ერთი პირობაა - მოწესრიგებული სასკოლო ინფრასტრუქტურა. დღევანდელი მდგომარეობით სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება აქტიურად მიმდინარეობს ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლებში, რაშიც ჩართულია განათლებისა და მეცნიერების ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მუნიციპალური განვითარების ფონდი და ადგილობრივი მმართველობა.



ბელა კიკილაშვილი, №1 საჯარო სკოლის Xბ კლასის დამრიგებელი - მე, უზომოდ ვამაყობ ჩემი ბავშვების წარმატებით, ერთ კლასში 10 ჯილდო მართლაც საამაყოა. ეს ჯილდო ბავშვებში ამაღლებს ცოდნის დაუფლების მოტივაციას. ცოდნა, დიდი, ნაყოფიერი შრომის შედეგია. ცოდნის გარეშე არ მოდის წარმატება. ახლანდელი თაობა არის მეტად კრეატიული, თავისუფლად მოაზროვნე, გახსნილი და თავდაჯერებული. დიდი სტიმული და სიამოვნებაა მათთან მუშაობა. ჩემს მოსწავლეებს ვუსურვებ მომავალში მეტ წარმატებებს სწავლაში, სპორტში, ხელოვნებაში.

მარინა ინასარიძე, დაწყებითი კლასების მასწავლებელი - შეგრძნება მართლაც უნიკალურია. საკუთარი შრომის შედეგს რომ ხედავ და გიფასებენ, ერთის მხრივ ძალიან მაბედნიერერებს, მეორე მხრივ კი ძალას და მოტივაციას მაძლევს, ამ ასაკში კიდევ განვავითარო ჩემი თავი, რომ ჩავდო მეტი შრომა, მეტი შედეგისთვის.

თითოეულის ბავშვობა თვალწინ დამიდგა, მათი სილაღე, სითბო, სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, გამოირჩეოდნენ გოგონების და უფროსების მიმართ პატივისცემით. ძალიან უყვარდათ საინტერესო ამბების მოსმენა, მისი გააზრება, გაანალიზება. აქტიურები იყვნენ როგორც საკლასო, ასევე სასკოლო და სარაიონო ღონისძიებებში. მე მჯერა ჩემი ბავშვების, რომ თავიაანთი შესაძლებლობების მაქსიმალურ ცოდნის რეალიზაციას მოახდენენ და შესაბამის მწვერვალებს დაიპყრობენ თავიაანთი თავდაუზოგავი შრომით.

ნია ჯარიაშვილი, ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მეათეკლასელი – ჩემი ყოველდღიურობა ძალიან შეიცვალა კომპიუტერის მიღების შემდეგ. უფრო მონდომებული გავხდი, რადგან მინდა ეს წარმატება მცირედი იყოს იმასთან შედარებით, რასაც მომავალში მივაღწევ. თავდაჯერებულობაც ფაქტია მომემატა იმ დღის შემდეგ, როდესაც გადმომცეს კომპიუტერი, ჩემ შესახებ საუბარი უფრო მეტად მიყვარს...რადგან ვიცი, რომ ამას დამსახურებულად მივაღწიე. ცხოვრება ბრძოლაა და ჩვენით მიღწეული წარმატება მეტად საამაყოა. ასევე,სასიამოვნოა როდესაც შრომობ,წვალობ, აკეთებ მაქსიმუმს და ბოლოს ამაყობ შენი წარმატებით. საამაყოა როდესაც იტყვი „დიახ, მე ამას მივაღწიე!". რა თქმა უნდა,დარწმუნებული ვარ ყველასთვის ეს წარმატება მეტად საამაყო და მოტივაციის მიმცემია. ვთვლი,რადგან ეს მოვახერხე, უფრო მეტსაც მივაღწევ. მჯერა, რომ რადგან ეს შევძელი, უფრო რთულსაც გავწვდები ისევ ჩემი მონდომებით და სიბეჯითით. ძალიან სასიხარულო და მოტივაციის მიმცემია ეს წარმატება.

კახი პოპიაშვილი, №1 საჯარო სკოლის მეათეკლასელი-ახალმა რეალობამ რადიკალურად შეცვალა ჩვენი ყოველდღიური რუტინა და საქმიანობა, მე მჯერა რომ ამ ყოველივემ ჩვენთვის დადებითად იმოქმედა, თავდაჯერებულობა და მოტივაცია მოგვცა, რადგან არ შევანელოთ სვლა უკეთესობისაკენ.

დიახ, ცხოვრება ნამდვილად რომ ბრძოლაა, ბრძოლა რომელმაც უმშვენიერესი გამარჯვება მოგვაპოვებინა და მოგვცა ჩვენივე თავის, ჩვენივე შესაძლებლობების გამომჟღავნების საშუალება. რა თქმა უნდა, აგვიმაღლდა მოტივაცია, რადგან სამომავლოდ დავისახეთ უფრო და უფრო მეტი წარმატებების მიღწევა.

გიორგი ღვედაშვილი, №1 საჯარო სკოლის მეათეკლასელი –ახალმა რეალობამ შეცვალა ჩემი ყოველდღიურობა.დღეიდან ვარ იმაზე მეტად თავდაჯერებული და მოტივირებული, ვიდრე ვიყავი.მე ამ მიზნის მისაღწევად ბევრი გავაკეთე და მივხვდი, რომ ეს დრო სწორად გამოვიყენე. ვთვლი,რომ ცხოვრება ბრძოლაა და ამ ბრძოლაში იგებს ის, ვინც ყველაზე მეტს შრომობს. როდესაც კომპიუტერი მივიღე, ჩემი თავით ძალიან ვამაყობდი და ვფიქრობ,რომ ეს არის ყველაზე პატარა მიღწევა ჩემს ცხოვრებაში. წინ კიდევ დიდი გზაა და ამ გზაზე უამრავი

/გაგრძელება გვ/8

სოციალური დასაქმების პროგრამაში აქტიურობისთვის დააჯილდოვეს

სოციალური დასაქმების პროგრამით მომუშავე ჯგუფების საქმიანობაზე ისაუბრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა. მისი თქმით, პრემიერის ინიციატივით შექმნილი დასაქმების პროგრამა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტშიც წარმატებით ფუნქციონირებს. თუმცა, მერის შეფასებით, განსაკუთრებული აქტიურობით გამორჩეულია ქედების ზონის ჯგუფი, რომელიც თვალშისაცემია. სწორედ ამიტომ, მერიამ მერის წლიური ანგარიშის წარდგენის დროს ნაყოფიერი მუშაობისთვის მადლობის სიგელით დააჯილდოვა ჯგუფის ქედების ზონის კოორდინატორი შალვა ხორნაული. მერმა დანარჩენ სოფლებში დასაქმებულებსაც გააქტიურებისკენ მოუწოდა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ხშირად გვესმოდა, რომ აქამდე გაჭირვებულ ფენას მუშაობა არ სურდა, რადგან საარსებო შემწეობა არ დაეკარგა. პრემიერის ინიციატივით, ეს მიდგომა შეიცვალა. დაიწყო დასაქმების პროგრამა, სადაც, სოციალურად დაუცველ მოქალაქეს შეუძლია მიიღოს დამატებითი ანაზღაურება 300 ლარი და არ შეუწყდეს დახმარება. მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა, რადგან ვინც შრომის სურვილს გამოთქვამს და დასაქმების პროგრამაში ჩაერთვება, სახელმწიფო აძლევს გარანტიას, რომ მინიმუმ 4 წლის განმავლობაში მას ყოველთვიური დახმარება არ შეუწყდება. ამ პროგრამით დასაქმებულ პირებს მარტივი დავალებები ეძლევათ, საკუთარი სოფლების და უბნების დასუფთავება და ელემენტარული საკითხები. დედოფლისწყაროს მასშტაბით ამჟამად 270 ადამიანია დასაქმებული. თუმცა, ერთია დასაქმების საკითხი და მეორეა როგორ გამოვიყენებთ ამ ყველაფერს. ეს ხალხი ყველგან მუშაობს, მათ ჰყავთ კოორდინატორებიც. მაგრამ სხვების საქმე არ ჩანს და ქედების ზონის თანამშრომელთა აქტიურობა ძალიან თვალშისაცემია. აქ წარმოდგენილი ფოტოკოლაჟიდანაც ჩანს, რომ ამ სოფლებში თითქმის ყოველდღიურად აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს. მათ ჰყავთ კოორდინატორი, შალვა ხორნაული, რომელიც ძალიან კარგ საქმეს აკეთებს და მინდა მადლობა ვუთხრა მას. ქედების ზონის, სამთაწყარო-ფიროსმანისა და საბათლოს მასშტაბით სამუშაოებს ახორციელებენ. ზოგან სასაფლაოებს ასუფთავებენ, ხან სოფლის ცენტრს, ხანაც სკვერებს. რა თქმა უნდა, ეს იმ თითოეული თანამშრომლის აქტიურობის შედეგია, მაგრამ ცხადია, ეს ყველაფერი არის ბატონი შალვას უდიდესი დამსახურებაც. იმიტომ, რომ სხვა სოფლებშიც გვყავს ასეთი თანამშრომლები, იქაც მუშაობენ, მაგრამ მათი მუშაობა ისეთი თვალშისაცემი და ხელშესახები არ არის, როგორც ამ ზონაში. ამიტომ, თქვენ მინდა გითხრათ ძალიან დიდი მადლობა და ამ სიმბოლური მადლობის სიგელით დაგაჯილდოვოთ. ასევე მიიღებთ ერთჯერად ფულად პრემიას. ასევე, დედოფლისწყაროს დასუფთავების სამსახურს მინდა ვთხოვო, რომ სხვა სოფლების კოორდინატორებიც გააქტიურდნენ, სტიმული მიეცეთ და მეტი მონდომებით იმუშაონ. მომავალი წლის ანგარიშის წარდგენამდე, ან სხვა დღესასწაულების დროს მათაც მოვუხადოთ მადლობა. ზოგადად, მადლობის თქმა არ მენანება, მთავარია, რომ მიზეზი გვქონდეს“.

„ქედების ზონის, სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამაში ჩართული ყველა თანამშროლის სახელით მადლობას ვუხდი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის წარმატებულ მერს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, ჩვენი საქმიანობის დაფასებისთვის, ჩვენი კოორდინატორის, შალვა ხორნაულის მადლობის სიგელით დაჯილდოებისთვის, რაც მეტ სტიმულს გვაძლევს ვაკეთოთ მეტი და მეტი,“ - აღნიშნეს მათ.

შალვა ხორნაული მანამდე 4 წლის განმავლობაში სოფლ არხილოსკალოს მაჟორიტარი დეპუტატი იყო დედოფლისწყაროს საკრებულოში, უფრო ადრე 6 წლის მანძილზე ამავე სოფლის გამგებელი იყო, 14 წლის განმავლობაში კი არხილოსკალოს საკრებულოში მიწათმომწყობად მუშაობდა.

შალვა ხორნაული: „რა თქმა უნდა ჩემთვის სასიამოვნო და საამაყოა, რომ შრომას მიფასებენ. ყოველდღიურ რეჟიმში ვმუშაობთ, ცდას არ ვაკლებთ დავასუფთავოთ ჩვენი მხარე. მოვლილი გვქონდეს სკვერები, სასაფლაოები, გზები, წყალგამტარი არხები. მერის ჯილდო, მეტ სტიმულს გვაძლევს სამომავლოდ ეფექტური მუშაობისთვის. ამჟამად ჩემს ჯგუფში 92 დასაქმებულია, მიხარია, რომ რაიონის მასშტაბით ყველაზე აქტიური ჩვენი ჯგუფია“.

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყაროში პროექტის „გოგონების გაძლიერება სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობისთვის“ ფარგლებში ტრენინგები ჩატარდა

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ორგანიზებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში პროექტის „გოგონების გაძლიერება სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობისთვის“ ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლე გოგონებისთვის ტრენინგების სერია დასრულდა.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ინფორმაციით, პროექტის „გოგონების გაძლიერება სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობისთვის“ მიზანია, აამაღლოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლე გოგონების ცნობიერება მათი ფუნდამენტური უფლებების, სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ძალადობის ადრეული შემჩნევის ტექნიკებისა და კარიერული დაგეგმვის შესახებ.

ტრენერებმა - თამარ საძაგლიშვილმა და თეონა მაჭარაშვილმა გოგონებთან ერთად, თემატური საკითხები განიხილეს, რაც ხელს შეუწყობს მათი უნარების გაძლიერებას უკეთ გაუმკლავდნენ მიგრაციის, უმუშევრობის, განათლებაზე ხელმისაწვდომობის არქონისა და გენდერული ძალადობის გამოწვევებს;

Soplidan.ge-ის დამფუძნებელმა ნათია ნინიკელაშვილმა გოგონებს მეწარმეობის შესახებ საკუთარი გამოცდილება გაუზიარა და სამეწარმეო უნარ-ჩვევებისა ცოდნის გაღრმავებაზე ესაუბრა;

შეხვედრების ფარგლებში გოგონებმა ტრენერების ჩართულობით თეორიულ საკითხებთან ერთად, პრაქტიკული სამუშაოებიც გაიარეს.

მოსწავლე გოგონებისთვის თემატური ტრენინგების სერია მთელი თვის მანძილზე კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ჩატარდება, რაც ხელს შეუწყობს მათი უნარების გაძლიერებას უკეთ გაუმკლავდნენ მიგრაციის, უმუშევრობის, განათლებაზე ხელმისაწვდომობის არქონისა და გენდერული ძალადობის გამოწვევებს.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია 6-თვიანი პროექტს „გოგონების გაძლიერება სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობისთვის“ კანადის საგარეო საქმეთა, ვაჭრობისა და განვითარების დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

რამდენ თვეში დასრულდება ახალი სკოლების მშენებლობა?

ქალაქ დედოფლისწყაროს №1 და სოფელ ზემო ქედის №1 საჯარო სკოლებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „საბა კონსტრაქშენი“ ააშენებს. ტენდერი მიმდინარე წელს გამოცხადდა, რის შედეგადაც გამარჯვებული კომპანია გამოვლინდა. ამ კონკრეტულ სატენდერო წინადადებაში განათლების სამინისტროს სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო კახეთის რეგიონის 6 სკოლის მშენებლობაზე აცხადებდა ტენდერს და მისი საერთო ღირებულება 30 866 683 ლარია.

სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ახალი შენობა 650 მოსწავლეზე იქნება გათვლილი. წინასწარი ინფორმაციით, სატენდერო თანხა ამ ეტაპზე 14 988 147 ლარია. სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად საორიენტაციო ვადაა 22 თვე. ხოლო საპროექტო სამუშაოები 6 თვის ვადაში უნდა დასრულდეს.

როგორც „შირაქმა“ ადგილზე გაარკვია, ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ძველი შენობის დემონტაჟის სამუშაოები გაჭიანურების მიუხედავად უკვე დასრულებულია. ამ დროისთვის მოედანი მოსწორებულია და მშენებლობისთვისაა მომზადებული. უკვე დაწყებულია საძირკველის გაჭრის სამუშაოები.

მშენებარე სასწავლო კორპუსი მოიცავს: 30 საკლასო ოთახი, 4 კაბინეტი ლაბორატორიებით; დირექტორის და მოადგილის კაბინეტი მოსაცდელით; კანცელარია, ბუღალტერია-არქივით; სამასწავლებლო; ექიმის კაბინეტი; ინვენტარის შესნახი ოთახი; მანდატურის და დაცვის ოთახი; დამლაგებლის ოთახი სველი წერტილით და სადეზინფექციო სათავსით; საწყობი (სასკოლო ინვენტარი) სანიტარული კვანძის ბლოკები მოსწავლეებისათვის, ადმინისტრაციისათვის და შ.შ.მ პირებისათვის; ბიბლიოთეკა: სამკითხველო წიგნების საცავითა და კომპიუტერული კუთხით; სააქტო დარბაზი (დარბაზი, სცენა, გასახდელები) კვების ბლოკი-სასადილო/ბუფეტი; რეკრეაცია; ფოიე გარდერობით, დერეფანი. სპორტული დარბაზი (უნდა დაეთმოს შენობის I სართულზე სპეციალურად მიშენებული ფართი. სპორტულ დარბაზთან უნდა არსებობდეს სპორტული ინვენტარის სათავსი, ბიჭებისა და გოგონებისათვის ცალცალკე გასახდელი, საშხაპე, სან-კვანძი. ინსტრუქტორის ოთახი საშხაპით და სან-კვანძით. ღია ხელოვნურ საფარიანი კომბინირებული სპორტული მოედანი; საინჟინრო შენობა-ნაგებობები. საკლასო ოთახში მოსწავლეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25 ბავშვს.

ხოლო, სოფელ ზემო ქედის №1 საჯარო სკოლის მშენებლობისთვის 4 429 201 ლარია გათვალისწინებული. ზემო ქედის №1 სკოლის ახალი შენობა 120 მოსწავლეზე იქნება გათვლილი. სამუშაოებისთვის 17 თვეა განსაზღვრული, აქედან დოკუმენტაციისთვის 5 თვე, მშენებლობისთვის კი 12 თვე.

ზემო ქედის №1 სკოლის სასწავლო კორპუსი მოიცავს: - 12 საკლასო ოთახს, 3 კაბინეტს და 1 ლაბორატორიას; დირექტორის კაბინეტს, კანცელარიას, ბუღალტერიას-არქივით;

- სამასწავლებლო; სასწავლო ნაწილის ოთახი; ბიბლიოთეკა წიგნ-საცავით და კომპიუტერული კუთხით; - ექიმის კაბინეტი; მანდატურის/დაცვის ოთახი; სანიტარული კვანძის ბლოკები მოსწავლეებისათვის, ადმინისტრაციისათვის და შ.შ.მ პირებისათვის; კვების ბლოკი-სასადილო/ბუფეტი;

- დამლაგებლის ოთახი სველი წერტილით და სადეზინფექციო სათავსით; რეკრეაცია; ფოიე გარდერობით, დერეფანი. ღია ხელოვნრუსაფარიანი კომბინირებული სპორტული მოედანი; საინჟინრო შენობა-ნაგებობა. საკლასო ოთახში მოსწავლეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25 ბავშვს.

ილია მარტყოფლიშვილი

ქუჩის ძაღლები – მუდმივი პრობლემა

კახეთის მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარში კრემატორიუმის გამოყენებას ხმაური მოჰყვა

ბოლო თვეებში აქტუალურია გურჯაანის ცხოველთა თავშესაფრის კრემატორიუმის საკითხი. მოქალაქეთა ნაწილი ამბობს, რომ თავშესაფარში ძაღლებს წვავენ. პროტესტის გამოსახატად ცხოველთა მოყვარულები თავშესაფართანაც შეიკრიბნენ, გაავრცელეს ვიდეოც. კადრებში ჩანს, რომ მაღალი მილიდან შავი კვამლი ამოდის. მოქალაქეები ირწმუნებოდნენ, რომ ეს იყო ცხოველთა განადგურების პროცესი. მოგვიანებით, თამაზ ელიზბარაშვილმა დააწესა ჯილდო და თქვა, რომ ვინც კრემატორიუმიდან ვიდეოს გამოიტანს, საჩუქრად 20 000 ლარს გადასცემს. კახეთის ცხოველთა თავშესაფარი ქალაქ გურჯაანში ორიოდ წელია ფუნქციონირებს და ის რეგიონის რვავე რაიონის მიერ დაფუძნდა და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ფინანსდება.

გასულ კვირას გურჯაანის თავშესაფრის დირექტორმა ჟურნალისტებთან საუბრისას დაადასტურა, რომ კრემატორიუმი მათთან ნამდვილად მუშაობს. მისი მტკიცებით, ეს მსოფლიოში მიღებული მეთოდია. თუმცა აკონკრეტებს, რომ კრემატორიუმი ოპერაციის დროს ამპუტირებული ნაწილებისა და ბეწვის გასანადგურებლადაა აუცილებელი და არა ძაღლების დასახოცად. ცხოველთა მოყვარულებმა კარგად იციან, რომ სნეული ცხოველების დაძინებისა და ზოგჯერ კრემატორიუმის გამოყენების პრაქტიკა მსოფლიოში მიღებული ფორმაა, თუმცა რატომღაც ამ შემთხვევაში მაინც ხმაურის მიზეზად აქციეს.

თეიმურაზ ზავრაშვილი ***„მიუსაფარ ცხოველთა მართვის სააგენტოს“ გურჯაანის ინტერმუნიციპალური ცენტრის დირექტორი:*** „ეს ყველაფერი არის ერთი ორგანიზაცია, ორგანიზაციის ხელმძღვანელი არის ბატონი თემურ ლაჭყეპიანი, რომელსაც ოზურგეთში აქვს თავისი საკუთარი ორგანიზაცია - თავშესაფარი. შემდეგ ჩვენი ცენტრი გაიხსნა. ქვეყანაში არის მეგა რაოდენობის მიუსაფარი ძაღლი. იმდენად დიდი პრობლემაა სახელმწიფოში, რომ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ჩამოეყალიბებინა რეგიონალური სამსახურები, რომლებიც ძაღლების და კატების პოპულაციაზეც იმუშავებდნენ. პირველად ჩვენი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა. ეს არის სუფთა კომერციული თვალსაზრისიდან შექმნილი აჟიოტაჟი. ოცი ათასი კი არა, ორმოცდაათი ათასი რომ დააწესოს, თამაზ ელიზბარაშვილმა თანხა, ვინ რა ვიდეო უნდა მიუტანოს, რაც ბუნებაში არ არსებობს. **მაშინ მანიაკების ხროვა უნდა იყოს აქ, რომ ცოცხალი ძაღლი მიიყვანოს და ჩააგდოს კრემატორიუმში. კრემატორიუმი მაგათ რა ჰგონიათ, რა მოცულობის არის, რომ იქ ძაღლების შეყრა შეიძლება? აბსოლუტურად გაუგებარი ბრალდებებია.** 24 საათი ხალხი აქ იმისთვის არის, რომ ვიყოთ სანიმუშოები. ჩვენ ვართ გაეროს ერთადერთი ორგანიზაცია საქართველოში, რომელიც არის საპილოტე პროგრამაში და პირველები ჩავერთვეთ ელექტრონული მართვის სისტემაში. გახსნის დღიდან, დაახლოებით 8000-მდე ძაღლი გავასტერილეთ. დაახლოებით, 1000-მდე ძაღლი გვყავს განკურნებული

მინდა ერთი შეკითხვა დავუსვა თემურ ლაჭყეპიანს და მის ამ, ეგრედ წოდებულ, საზოგადოებას, რომლებიც კრემატორიუმს ებრძვიან. **თვითონ, რომ აკეთებენ ოპერაციებს, სად მიაქვთ ბიოლოგიური ნარჩენები? იმიტომ, რომ ქვეყანაში სულ ორი კრემატორიუმი**

> მიუსაფარი ძაღლების პრობლემა წლების მანძილზე მწვავედ რომ დგას, ამას გაზეთ „შირაქის“ არქივიც მოწმობს. ყოველწლიურად გვიწევს ამ საკითხზე წერა, მაგრამ მოქალაქეებს პრობლემა ისევ აწუხებთ. იყო დრო, როცა 12-13 წლის წინ მაწანწალა ძაღლების მასობრივ ლიკვიდაციას თვითმმართველობის ორგანო თავადვე ახდენდა და ამის შესახებ საჯარო განცხადებებსაც. აკეთებდა, თუმცა ახლა მიდგომა შეცვლილია და ძაღლების უფლებებზე ბევრს საუბრობენ. მოქალაქეთა ნაწილს კი აქვს განცდა, რომ ძაღლების უფლებებს უფრო იცავენ, ვიდრე ადამიანების...

არის – ერთი ჩვენ გვაქვს და ერთი გორს. ყოველი დღე როგორც მთავრდება ჩვენთან, დაწყებული ერთჯერადი ხელთათმანით, თვითონ საოპერაციო ხალათები, პირბადე, ბამბა, ბიოლოგიური ნარჩენი, იგულისხმება ამპუტირებული ნაწილები, ანაპარსი, წესის თანახმად აუცილებლად უნდა დაიწვას, განადგურდეს... მაინტერესებს, ვისაც არ აქვთ [კრემატორიუმი] მიაქვთ და საყოფაცხოვრებო ნარჩენებში ყრიან, საყოფაცხოვრებო ნარჩენი მერე გადის საერთო ნაგავსაყრელზე, სადაც უამრავი ძროხა, ძაღლი დადის, ამით იკვებება და ჩვენ დიდ საფრთხეს გვიქმნის. დაავადებული ცხოველის ნაწილები უნდა განადგურდეს კრემატორიუმი და მათი გადაყრა დაუშვებელია,“ – ამბობს ზავრაშვილი.

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა რას ფიქრობენ კახეთის თავშესაფარზე დედოფლისწყაროელი ცხოველთა მოყვარულები და რა შენიშვნები აქვთ მათ მუშაობასთან დაკავშირებით

ქალაქ დედოფლისწყაროში მცხოვრები **თამარ ლომაშვილი-გოგებაშვილი** ბავშვობიდან ცხოველთა მოყვარულია. ის ამბობს, რომ რამდენჯერაც გურჯაანის თავშესაფარს მიმართა, მათგან დახმარება ყოველთვის მიიღო, ამიტომ მათი მუშაობით ის კმაყოფილია.

„როცა ვიდეოები ვნახე, რომ თავშესაფრიდან შავი ბოლი ამოდიოდა, ძალიან შევშფოთდი. ისეთი ბრალდებები ეწერა, კახეთში ძაღლები აღარ არის, დაიჭირეს და წაიყვანესო. კრემატორიუმში ხოცავენო. თავზარი დამეცა,

ცხოველთა მოყვარულებთანაც დავიწყე დარეკვა და თავშესაფრის წარმომადგენლებთანაც. ამიხსნეს და ჩემთვის აბსოლუტურად სარწმუნოა, რომ კრემატორიუმში ნარჩენებს წვავენ და იქ ჯანსაღ ცხოველს სასიკვდილოდ არავინ გაიმეტებს. უნდა გვესმოდეს, რომ ლეიშმანიოზით დაავადებული, მკვდარი ცხოველი, ან ნარჩენები კრემატორიუმში უნდა განადგურდეს და მისი გადაყრა არ შეიძლება. დაავადებები რომ არ გავრცელდეს კრემატორიუმი ამიტომ არსებობს, მაგრამ თბილისში არ აქვთ, არც სხვა დიდ ქალაქებში. მხოლოდ გორსა და კახეთშია. თბილისელები იძახიან, ნეტავ თბილისშიც მუშაობდეს კრემატორიუმიო. რადგან იქ არ არის, საინტერესოა მათ სად მიაქვთ? თუ ორმოებში მარხავენ არასწორია. სხვა ცხოველების მოყვარულებსაც ვესაუბრე და დამამშვიდეს. როცა არ გინახავს, რთულია ამტკიცო რას წვავენ კრემატორიუმში. მე რამდენჯერაც შეხება მქონია, კმაყოფილი ვარ მათი. გაზაფხულზე მანქანის შეჯახებით დაშავებული ძაღლი წავიყვანე ამ თავშესაფარში და სრულიად გამოჯანმრთელებული დამიბრუნდა. იმდენად დაშავებული იყო, უიმედოდ ვიყავი, მაგრამ ერთი თვის შემდეგ აღარაფერი ეტყობოდა. ეს ნიშნავს, რომ აქვთ შესაბამისი გამოცდილება და განათლება, რომ ეფექტურად იმუშაონ. პირადად ვუკავშირდები ხოლმე დირექტორსაც, ვეტერინარსაც და იმ მოძრავი ჯგუფის წარმომადგენელსაც, რომელიც ჩვენს რაიონში ჩამოდის. მათ დატვირთული გრაფიკი აქვთ და კვირაში ერთხელ ახერხებენ ჩამოსვლას. ვიდრე კახეთის თავშესაფარი გაიხსნებოდა, მანამდე ტელეიმედის ჯგუფს და ელიზბარაშვილის თავშესაფართან მქონდა კავშირი და ისინიც მეხმარებოდნენ. ახლა კი მუშაობს რეგიონული თავშესაფარი, მაგრამ რაიონებისთვის ეს არ არის საკმარისი. აუცილებელია ყველა რაიონში იყოს თავშესაფარი, ან ვეტერინარული კლინიკა. დედოფლისწყაროში კი ვეტერინარიც არ გვყავს. უცებ რომ რამე გაგიჭირდეს, კვალიფიციურს ვერავის მიმართავ, სხვა ქალაქში გადაყვანა კი დიდ დროსა და ხარჯებს მოითხოვს.

დამუშავებულ ძაღლებს ისევ უკან რომ უშვებენ და მაინც უპატრონოდ ცხოვრობენ, ეს თავშესაფარზე არ არის დამოკიდებული, ასეთი მითითება აქვთ მუნიციპალიტეტებიდან მიღებული. თუკი გაეზრდებათ დაფინანსება და ფუნქციები, მერე შესაძლოა საუბარი იყოს დატოვებაზეც. ეს საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. **უნდა არსებობდეს თავშესაფარი, სადაც ქუჩის ძაღლებს დაიტოვებენ. შეიძლება ყველა ვერ წაიყვანონ, მაგრამ ასეთი გადატვირთული მდგომარეობა მაინც აღარ იქნება, როგორიც დღესაა დედოფლისწყაროს ცენტრში, ბაზრის მიმდებარედ და ა.შ. თუნდაც კერძო თავშესაფარი არსებობდეს ყველა რაიონში, ბევრი მოყვარული ჩავრიცხავდით ფულს.** მაგრამ ოლიერში გამოკეტილი და დაპატიმრებული კი არა, ნორმალურ პირობებში უნდა იყვნენ, რომ დეპრესიაში არ ჩავარდნენ. ძალიან მეცოდებიან ქუჩის ძაღლები, ხშირად დავდივარ და ვაპურებ ყველა მათგანს. ახლახან, ბაზართან ერთი დაავადებული ძაღლი დავინახე, სულ წყლულები ჰქონდა და ხშირად მივდიოდი და წამლებს ვასმევდი, ახლა შედარებით გამოჯანმრთელდა. ძალიან ბევრი დაავადებული ძაღლი დადის და ამას უნდა მიეხედოს. ძალიან მწყინს, რომ აგრესიას ამჟღავნებენ. თუ ძაღლს თბილად მიუდგები, ის აგრესიას არ გამოხატავს. ხალხის დამოკიდებულება თუ შეიცვლება, არც ისინი იქნებიან საშიშები.

ბავშვობიდან ცხოველთა მოყვარული ვარ, მათ თვალებში უფრო მეტ სითბოს ვხედავ, ვიდრე ადამიანებში. ნათქვამია, სამი დღე აჭამე ძაღლს და მთელი ცხოვრება ემახსოვრებაო, ხოლო ადამიანს წლების განმავლობაში რომ კვებავდე სამი დღე არ ემახსოვრებაო. სამწუხაროდ, მართალი ყოფილა. იმდენად მიყვარს ცხოველებიც და ფრინველებიც, რომ ქუჩაში დაშავებულიც რომ ვიპოვო სახლში მიმყავს და ვმკურნალობ, მინდა ყველას დავეხმარო. საოცარი გრძნობაა, როცა დააპურებ, თავზე ხელს გადაუსვამ და დაეხმარები. ამის გადმოცემა რთულია. ზოგი სტერილიზაციის წინააღმდეგიც არის, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ აუცილებელია, რადგან ქუჩაში ძაღლების უკონტროლო გამრავლება შეწყდეს. მიუხედავად იმისა, რომ დედლების გასტერილება უფრო რთული პროცესია და მამლები იოლად იტანენ კასტრაციას“.

გურჯაანში თავშესაფრის გახსნის შემდეგ დედოფლისწყაროში იყო შენიშვნები იმასთან დაკავშირებით, რომ ძაღლები წაიყვანეს და დამუშავების შემდეგ სხვა ლოკაციაზე დააბრუნეს. ზოგჯერ პატრონებსაც გაუჭირდათ ცხოველების მოძებნა.

როგორც ჩანს, გურჯაანის თავშესაფრის მომსახურებით კმაყოფილია ყველა, ვისაც მათთან შეხება ჰქონია. თუმცა, ისინიც აღიარებენ, რომ მათი სერვისი საკმარისი არ არის და შემდეგ ცხოველები ისევ დაუცველ გარემოში, უპატრონოდ რჩებიან. ასეთივე პრეტენზიები აქვთ სხვა დედოფლისწყაროელებსაც. მათი დიდი ნაწილი ითხოვს, რომ ქუჩის ძაღლები თავშესაფარმა უკან აღარ უნდა დააბრუნოს. მოქალაქეების ნაწილი მიიჩნევს, რომ ქუჩებში მაწანწალა ძაღლები არ უნდა იყვნენ. მათ ნაწილს უფლებადამცველების აქტიურობაც აკვირვებს და ღიად მიანიშნებს, რომ როცა ცხოველთა უფლებების დაცვაზე საუბრობენ, ადამიანების უფლებები ავიწყდებათ.

ილია მარტყოფლიშვილი

„გული ლექსისთვის მუდამ ღიაა, იგია ყველგან ჩემი მხლებელი"

„ღმერთმა საქართველო გააჩინა იმისთვის, რომ პოეზიას სამშობლო ჰქონოდაო" - ასეთ სიტყვებს გაიხსენებს თამაზ წიკლაური თავის პოეზიის საღამოზე და ამით უამრავი ადამიანის სათქმელს იტყვის. ძნელია არ დაეთანხმო პოეტს, რომლის შემოქმედებაც ქართული პოეზიის განუყოფელი ნაწილია და სიყვარულით, პატრიოტიზმითა თუ ადამიანთა მიმართ უსაზღვრო სითბოთია სავსე.

16 ნოემბერს, სოფელ სამრეკლოს კულტურის სახლის თანამშრომლებისნათელა ბეკოშვილისა და ნანა უძილაურის ინიციატივითა და ორგანიზებით **თამაზ წიკლაურის** პოეზიის საღამო გაიმართა.

საღამო გახსნა ნათელა ბეკოშვილმა. მან მოკლედ ისაუბრა პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე: „დიდი მადლობა, თამაზ, ასე რომ გვანებრივებ შენი ლამაზი ლექსებით. შენი პირველი ლექსების „მეჭაშნიკეებიც" ხომ ჩვენ, შენი თანაკლასელები ვიყავით. იმ პირველი ემოციებიდან ძალიან დიდი დრო გავიდა, მაგრამ დღესაც ისეთივე სიყვარულით გისმენთ, როგორც მაშინ, როცა პატარა ბავშვები ვიყავით. შენი ლექსები ხომ უმდიდრესი და ფასდაუდებელი ქართული ხალხური პოეზიის სიღრმდეებიდან იღებს სათავეს. შენი შემოქმედება ხომ ხალხური პოეზიის მადლითაა განათებული. ალალი და ნაზი სურნელი აქვს მის პოეზიას, რადგან სისხლში აქვს იმ წინაპართა გენები, რომლებიც კავკასიონის საარწივეთში ცხოვრობდნენ, სადაც არხოტის მწვერვალები ცას ჰკოცნიან, სადაც არწივები ყივიან, სადაც ჯიხვები და არჩვები, შურთხნი და კაკაბნი ლაღობენ, აღვიძებენ გარემოს. სწორედ იმ მთების მადლი და მირონი გამოჰყვა თამაზ წიკლაურს - დეკის ყვავილივით ლამაზ ლექსებს რომ აგვირისტებს".

საღამოს, მოწვეულ სტუმრებთან ერთად, ესწრებოდნენ პოეტის თანაკლასელები და მეგობრები. მათ დიდი სიყვარულით გაიხსენეს ერთად გატარებული ბავშვობის წლები.

მარინა ყოჩიაშვილი, *თანაკლასელი:* „ყოველთვის მიხარია, როცა საშუალება მეძლევა ჩემი სიყრმის მეგობარზე ვისაუბრო, რომელიც ბავშვობიდან გამორჩეულია. ვიცი, თითოეული ლექსი შენი ცხოვრების ნაწილია და ყველა სიტყვას, შენს მიერ აწყობილ რითმას, თავისი სიცოცხლე აქვს. ისიც ვიცით, რა ჯადოსნური ძალით იქცევა რითმა ლექსად. ეს უნარი კი, ღმერთისგან ბოძებული ნიჭია. შენი შემოქმედებითი წვით შექმნილ ლექსებს დრო კი არ აუფერულებს, არამედ ახალ სიცოცხლედ გარდაქმნის და თანამედროვე თაობებს ცხოვრებისეულ სიბრძნეს ასწავლის. ვიცი, რომ შენი ყველაზე დიდი სიმდიდრე ლექსებია. ამიტომაც, გისურვებ, მუდამ ბრწყინავდეს შენი პოეზია".

პოეტმა თავისი რჩეული ლექსები წაიკითხა და მხურვალე აპლოდისმენტებიც დაიმსახურა. გთავაზობთ თამაზ წიკლაურის შემოქმედებიდან რამდენიმე ამონარიდს:

„ჯირსა და ლხინში არსად არ მტოვებს,
ლექსს სიზმრის გზაზეც ჩემთან უვლია,
მოკვდავ კაცს უფალს, ღმერთს, გაგატოლებს
ჰოეზია ხომ სასწაულია".

***

„გული ლექსისთვის მუდამ ღიაა,
იგია ყველგან ჩემი მხლებელი,
რამეთუ ყველგან ჰოეზიაა,
ჩემი მკვლელი და მაცოცხლებელი".

***

„ვერც შენი გული მოვიგე,
ვერც გზა გავწალდე ვერანი,
ვერც ტატოს რაში მოვირგე,
ვერც ნისლისფერი მერანი.
ქარს მიაქვს ისევ და ისევ,
ნაფიქრი და ნამღერალი,
ვერც შენ ვერ დაგითავისე,
ვერც ჰოეზიის მწვერვალი.
ეს დღეც ვაებით იწვება,
დავმუნჯდი ლექსის მწერალი,
რავი, რა ღმერთი მიწურება,
რად მტანჯავს წერა მწერალი".

***

„ჩემი განცდები ხან ცის ნამია,
ხან გაუშლელი ვარდის კვირტები,
ჩემი ლექსები ყელსაბამია,
შენს ბროლის ყელზე დასაკიდები.
ეს სიყვარული უფრო ნაზია,
ვიდრე აჭრილის სიო ნატრული,
დღეს ყველა ლექსი ფიანდაზია,
შენს სავალ გზაზე მიმოფენატული".

ღონისძიება მხატვრულად გააფორმეს ნანა უძილაურმა და პატარა მომღერალმა თამაზ წიკლაურმა.

ღონისძიების დასასრულს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა ლია მაისურაძემ მადლობა გადაუხადეს ღონისძიების ორგანიზატორებს სასიამოვნო ღონისძიების ორგანიზებისათვის, თამაზ წიკლაურს მიულოცეს დაბადების დღე და სიმბოლური საჩუქარი გადასცეს.

თამარ თამაზაშვილი, მერიის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი: „გილოცავ თამაზ, ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას გისურვებ. ყველას ძალიან გვინდა, რომ დიდხანს გვესმოდეს შენი ხმა. დიდხანს ვტკბებოდეთ იმ სასწაული ფრაზებით, რომელიც შენს გონებაში იწრთობა და ჩვენამდე საოცარი ფორმით მოდის. გვსურს, რომ შენი პოეზიით დიდხანს ესიყვარულებოდე და ამდიდრებდე სამყაროს. მადლობა ყველას ამ ღონისძიების ორგანიზებისთვის".

ლია მაისურაძე, დედოფლისწყაროს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორი: „ძალიან დიდი მადლობა ამ შესანიშნავი ღონისძიების ორგანიზატორებს, რომლებმაც თამაზი დააფასეს, მოეფერნენ. ვფიქრობ, ეს ხალხი მას დიდი ხნის განმავლობაში დაამახსოვრდება. თამაზ, დღეს ასეთი ფრაზა თქვი, „ადამიანი დაბადებიდან ომშია საკუთარ თავთანო". მადლობა შენ ამ სიტყვებისთვის. თითქოს, ადამიანის მთელი ცხოვრების არსი ამ ერთი წინადადებით გადმოეცი".

„შეუძლებელია, მკითხველის გული არ მოიგოს და არ მოხიბლოს თამაზ წიკლაურის ემოციურმა, მუხტიანმა და ელვარე ლექსებმა, შეუძლებელია მის პოეტურ ნამოღვაწარში მკითხველმა მთიდან ბარში ჩამონათებული მყვირალა ირემი არ ამოიცნოს", შეუძლებელია თამაზ წიკლაურის პოეზიას გაეცნოთ და მისი სულიერი სამყარო ვერ დაინახოს.

გაზეთი „შირაქი" სწორედ იმ მუხტისა და ემოციის შენარჩუნებას უსურვებს ბატონ თამაზს, მის პოეზიას რომ სდევს თან და მუდამ ამაყ ღიმილს ჰფენს მკითხველის სახეს.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

უკვდავი გალაკტიონი

,,იმ ღამით ჭყვიშთან ვერ დიოდა წყნარად რიონი, თურმე იმ ღამით დაიბადა გალაკტიონი."

შოთა ნიშნიანიძე



17 ნოემბერი ქართველი პოეტის და საზოგადო მოღვაწის გალაკტიონ ტაბიძის დაბადების დღეა. ის 1891 წლის 17 ნოემბერს ვანთან ახლოს სოფელ ჭყვიშში დაიბადა. გალაკტიონმა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო, მოგეხსენებათ, ეს ის პერიოდია, როცა ლირიკაში კვლავ განუყოფლად ბატონობდა აკაკი წერეთლის ავტორიტეტი. უხვად მომადლებული პოეტური ნიჭის წყალობით გალაკტიონმა ქართული პოეზია ახალ სიმაღლეზე აიყვანა. გალაკტიონ ტაბიძემ იმთავითვე დაიმკვიდრა „გენიალური გალაკტიონის" და „პოეტების მეფის" სახელი. „მე და ღამემ", „მთაწმინდის მთვარემ", „ლურჯა ცხენებმა", „სილაჟვარდემ...", „მერიმ" და მრავალმა სხვა ლექსმა მკითხველს წარმოუდგინა სრულიად ახლებური პოეტური სამყარო, ქართული ბგერის დიდებული კეთილხმოვანება, სიტყვის მოქნილობა, საოცარი უნარი რიტმის, ფერის, ტონისა თუ ნახევარტონების გადმოცემისა.

გალაკტიონი წერის გარდა, ხატავდა კიდეც, სულ 1260 ნახატი შეუქმნია, მათ შორის 4 პორტრეტი. ხატავდა კარიკატურებსაც, მაგალითად იოსებ გრიშაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის. განსაკუთრებით უყვარდა თაგვების ხატვა. ერთ-ერთ ნახატზე ასეთი მინაწერიც არის "მხურვალე სალამი, ჩემო ოლია, შენ მშვენივრად იცნობ ამ თაგვებს, რომლებიც ჩემს გვერდით ცხოვრობენ კრილოვის ქუჩაზე" - ეს იყო სურათი, სადაც სამი თაგვი, წიგნი და სასმელია დახატული.

მე თუ მკითხავენ, ვიტყვი: ,,გალაკტიონის დაბადების დღიდან, დედამიწის ზურგზე მისი სიმაღლის პოეტს არ გაუვლია და რომ გალაკტიონი არის გენი რუსთაველისა მეოცე საუკუნეში გაღვიძებული და მზეზე აყვავებული" -წერდა ნოდარ დუმბაძე.

გალაკტიონი მხოლოდ გენიალური პოეტი, ქართული პოეზიის უდიდესი რეფორმატორი როდი იყო. ზნეობისაგან განძარცვულ, პრაგმატიზმით სნეულ საუკუნეში მან დაამტკიცა, რომ შეიძლებოდა იდეალებით და იდეალისთვის არსებობა.გალაკტიონი სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად, მის შესახებ არსებულ მოგონებებსა და გადმოცემებში რთულია გავარკვიოთ, სად გადის ზღვარი რეალობასა და გამონაგონს შორის, თუმცა ეს გამონაგონიც საინტერესოა, რადგან ცხადყოფს ხალხის განსაკუთრებულ დამოკიდებულებასა და სიყვარულს.

მერე რა, რომ მთელი სიცოცხლე თვითმკვლელობაზე ფიქრობდა, გალაკტიონ ტაბიძე მოკლა გულცივობამ, უყურადღებობამ და შეურაცხყოფამ. აკი თავად პოეტმაც თვითმკვლელობამდე ბევრად ადრე ჩაწერა დღიურში:

„ჩემს თვალწინ სდგას საშინელი სიღარიბე, ვინაიდან მისპობენ საარსებო წყაროებს.. საშინელებაა, როცა ადამიანი „წელებზე ფეხს იდგამს". საზიზღრობაა, როცა ადამიანი თავს ვერ აღწევს ბორკილებს, რომელსაც ადებს სიღარიბე. მიწასთან გასწორებაა, როდესაც ადამიანი ერთსა და იმავე ძონძებში დადიხარ წლობით, როცა ნატრობ სუფთა პერანგს - ვინაიდან საშუალება არა გაქვს, დაიქირავო მრეცხავი, როცა ჰკარგავ თავმოყვარეობას, ან როცა ემალები ხალხს, მის მაგიერ რომ თავისუფლად და დამოუკიდებლად იარო ხალხში, და ეს აჩრდილი სიღარიბისა - ეხლა უკვე აჩრდილი კი არა, რეალური სახეა ჩემთვის. მე ბუნებით არა ვარ შურიანი და ბოროტი ადამიანი, მაგრამ სიღარიბეს შეუძლია ასეთად გამხადოს. საზოგადოება ვერ ითმენს ადამიანს, რომელიც მას არა ჰგავს. საზოგადოება ყოველ ძალასა და ღონეს ხარჯავს, რათა ადამიანი ძირს დაანარცხოს მაღალ საფეხურიდან, ან, ყოველ შემთხვევაში, უსახო კაცად გახადოს - ადამიანი - ადამიანური სახის მქონე. ამიტომ საჭიროა ბრძოლა. ბრძოლა არსებობისათვის!"

„მშვიდობით სიკვდილისათვის აჩქარებულო, როგორ არ იცოდი, რომ სიკვდილი შენ ვერ მოგერეოდა?!"-თქვა გიორგი ლეონიძემ გამოსამშვიდობებელ სიტყვაში. აკი ვერც მოერია: დღეს ყველა აღიარებს პოეტების მეფეს, რომლის სახელს ატარებს ხიდი და ქუჩა დედაქალაქში, დგას ძეგლი, პოეტის ბინაში კი გახსნილია სახლ-მუზეუმი. მაღალი ტირაჟით იბეჭდება და იყიდება მისი ლექსები.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება რამდენიმე ათეული წელია, გადაულახავ მწვერვალად დგას თანამედროვე ქართულ პოეზიაში. მისი ავტორიტეტი დღესაც ბატონობს და გადაუჭრელ ამოცანად რჩება ქართული ლექსის თვისობრივად ახალ, მის ლექსთან შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა. მისი ლექსები თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე.

პატარა ფეხბურთელთა ჯგუფი გაიხსნა

ქალაქ დედოფლისწყაროში პატარა ფეხბურთელთა ჯგუფი შეიქმნა. ვარჯიშები უკვე რამდენიმე კვირაა მიმდინარეობს. პატარებს სპორტის ცენტრის დამსახურებული მწვრთნელი ზურაბ ჩალაბაშვილი ამზადებს. როგორც ჩალაბაშვილმა „შირაქს“ განუცხადა, პატარა ასაკის ბიჭუნათა ჯგუფის შექმნის იდეა თავად მოსახლეობას ეკუთვნის და გაზრდილი მოთხოვნის გამო გადაწყდა ორჯერ მეტი მსურველი მიეღოთ.

ზურაბ ჩალაბაშვილი ***(მწვრთნელი):*** „სულ ახლახან ბავშვთა ჯგუფი შევადგინეთ, 2015-16 წლებში დაბადებული ვაჟები არიან. ძალიან დიდი მოთხოვნა იყო და მათი სურვილის გათვალისწინებით დავიწყეთ მუშაობა. წესით, ჯგუფში 12-15 ბავშვი უნდა იყოს, მაგრამ ახლა ჯამში 30-ია. ესეც მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობაში სურვილი დიდი იყო. მშობლები მოდიოდნენ და ითხოვდნენ. ამჯერად ყველა მსურველი მივიღეთ, არ გავცხრილეთ. თუმცა, პირველივე დღეებში გამოიკვეთა ბევრი ძლიერი და კარგი მონაცემების მქონე ბავშვები, რომლებიც ალბათ უფრო მეტად განვითარდებიან. ახლახან მათ პირველი ასპარეზობა უკვე გამართეს. სიღნაღიდან ჩამოვიდნენ თანატოლები და მათთან ითამაშეს. მათ ერთი წლით ადრე დაიწყეს მუშაობა და ბევრად მომზადებულები იყვნენ, მაგრამ ამის მიუხედავად დედოფლისწყაროელებმა დებიუტს თავი კარგად გაართვეს და ეს თამაში ფრედ, 1-1 დასრულდა. ვაგრძელებთ მეცადინეობას, კვირაში ორი დღე გვაქვს ვარჯიში, დილის 10 საათზე ვუტარებთ. ვინაიდან სკოლაში მიმდინარე მშენებლობის გამო ისინი მეორე ცვლაში სწავლობენ, ამით ხელი გვეწყობა და შესაძლებლობა გვაქვს დილით ვივარჯიშოთ, რაც გაცილებით უკეთესია“.

თაკო გეგაშვილი ***(მშობელი):*** „ცოტნეს ფეხბურთი მამამისმა შეაყვარა. ისიც ბავშვობაში დადიოდა ფეხბურთზე და ოცნებობდა ფეხბურთელობაზე. რაც გაიზარდა ხშირად ეთამაშებოდა ხოლმე და დაინტერესდა, ამიტომ ითხოვდა ფეხბურთზე შეყვანას. ჩვენც როგორც მშობლები კმაყოფილი ვართ, რომ ბავშვი ფიზიკური აქტივობით კავდება, თავისუფალ დროს უთმობს სპორტს და ვარჯიში მის განვითარებას უწყობს ხელს. კმაყოფილები ვართ, ამ მცირე დროში საკმაოდ ბევრი ისწავლა და რაც მთავარია დილას ვარჯიშით იწყებენ, ეს კი მისი ჯამრთელობისთვის სასარგებლოა. მოსწონს შეჯიბრებებში რომ მონაწილეობს და ამით თვითშეფასების უნარს იმაღლებს. გოლს თუ გაიტანს, აღფრთოვანებულია ხოლმე და მთელი დღე კარგ განწყობაზე დგება. გუნდურ მუშაობაშიც ვითარდება. კარგია რომ ჯგუფი გაიხსნა და შესაძლებლობა გვაქვს დაინტერესებული ბავშვები სასურველ სპორტზე ვატაროთ“.

თეონა სეხნიაშვილი: „8 წლისაა ჩემი შვილი გაბრიელ ალხანიშვილი. დიდი ხანია ფეხბურთზე შესვლას მთხოვს, მაგრამ ამ ასაკობრივ კატეგორიაში ჯგუფი არ იყო და ერთი წელი ვიცდიდით. ბოლოს როგორც იქნა, ბევრი მსურველი გამოჩნდა და ჯგუფი შეიქმნა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მწვრთნელს. სამომავლოდაც ვაპირებთ, რომ ხელი შევუწყოთ მისი სპორტული ინტერესების განვითარებას. მუდმივად უყურებს ხვიჩა კვარაცხელიას თამაშებს. ფაქტიურად ფეხბურთი მისი თამაშის გამო შეუყვარდა, სულ მის ვიდეოებს უყურებს“.

ილია მარტყოფლიშვილი

ქ. დედოფლისწყაროს ჭიდაობის გუნდი საქართველოს ჩემპიონატისთვის ემზადება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი დედოფლისწყაროს სპორტულ დარბაზს ეწვია, სადაც მრავალი წლის განმავლობაში სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დავით გონაშვილი ახალგაზრდებს თავისუფალი სტილით ჭიდაობას ასწავლის. ნიკოლოზ ჯანიაშვილი ვარჯიშს დაესწრო, სპორტსმენებს გაესაუბრა და მათთან ერთად სამომავლო გეგმები დასახა.

„დავით გონაშვილი ძალიან გამოცდილი და წარმატებული მწვრთნელია, 1989 წლიდან დღემდე მას არაერთი ტიტულოვანი სპორტსმენი აღუზრდია. მათ შორის არიან ოლიმპიური ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი. ასევე საქართველოს ჩემპიონები, ევროპისა და მსოფლიო პირველობის პრიზიორები. ვფიქრობ, მისი წარმატებებით მომავალშიც ბევრჯერ ვიამაყებთ. გვინდა, ამ მიღწევებში ჩვენც გვქონდეს წვლილი, ამიტომაც მათ ხელშეწყობას და გვერდში დგომას მომავალშიც აქტიურად გავაგრძელებთ“-განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

დავით გონაშვილი სამწვრთნელო მოღვაწეობას 1989 წლიდან ეწევა. თავდაპირველად ის გურჯაანელ სპორტსმენებს ავარჯიშებდა, 1994 წლიდან კი ჭიდაობის სიყვარულს მშობლიური მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს უნერგავს.

ამჟამად ქ. დედოფლისწყაროს ჭიდაობის გუნდი საქართველოს პირველობისთვის ემზადება, რომელიც მიმდინარე წლის დეკემბერში ბათუმში გაიმართება.

ჩეხეთის ცენტრის გამოფენა

საქართველოში მოქმედი ჩეხეთის ცენტრის ორგანიზებით დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, სადაც ჩეხეთის წარმატებული ქალების პორტრეტები და ბიოგრაფიული ცნობებია თავმოყრილი. ჯამში 50 ქალის ისტორიაა გადმოცემული, რომელთაც ჩეხეთის ისტორიაში კვალი დატოვეს. გამოფენა დედოფლისწყაროში 2 ნოემბერს გაიხსნა, დეკემბრამდე დარჩება და ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე გამოჩენილი ჩეხი ქალების საინტერესო ისტორიებს გაეცნოს.

მუზეუმის დირექტორი **ლალი გურასპაული** გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ ჩეხეთის ცენტრთან აქტიურად თანამშრომლობენ და ეს დედოფლისწყაროში მათი უკვე მეორე გამოფენაა.

ჩეხეთის ცენტრის დამფუძნებელი ივანა ბურსიკოვა წლებია თბილისში ცხოვრობს, მოვლილი აქვს საქართველოს ყველა კუთხე და ძალიან მოხიბლულია, რომ უძველეს ქვეყანაში ცხოვრობს. ამბობს, რომ ძალიან უყვარს მოგზაურობა, ბაკურიანში თხილამურებზე სრიალი, წიგნების კითხვა და ანტიკვარული ავეჯი.

ივანა ბურსიკოვა: „მინდა ჩეხეთის კულტურა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში მივიტანო. დედოფლისწყარო ძალიან მომწონს, ეს ჩემი პირველი ვიზიტი არ არის, ძალიან მიყვარს ხორნაბუჯის ციხე და ელიას მთა. ხშირად მივდივარ ვაშლოვანის ნაკრძალში, მიმაჩნია, რომ უზომოდ საინტერესო ადგილია. მთლიანად დედოფლისწყარო გამორჩეული ქალაქია. აქტიურად ვთანამშრომლობ მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან. პროფესიით გეოლოგი ვარ, მაგრამ რევოლუციის შემდეგ მე პრაღაში ვმუშაობდი, როგორც პოლიტიკოსი. გეოლოგია კიდევ მუდამ იქნება, მაგრამ მინდოდა რევოლუციის შემდეგ საინტერესო საზოგადოებაში ვყოფილიყავი. უკვე 16 წელი ვიმუშავე საქართველოში, მქონდა არასამთავრობო ორგანიზაცია. ახლა კი თბილისში ჩეხეთის ცენტრი დავაფუძნე და ჩემი მთავარი მიზანია ჩეხეთის კულტურა საქართველოს ყველა კუთხეში ჩავიტანო.

აქ არის წარმოდგენილი ჰუმანიტარული აქტივისტი მარია შმოლკოვა, მწერალი ბოჟენან ნემცოვა, ადვოკატი მილადა ჰორაკოვა და სხვები... ჩემთვის პირველი წმინდა ქალბატონი იყო მეფის და, რომელმაც ბევრი გააკეთა ჩეხეთისთვის. პირველად ააშენა ბევრი საავადმყოფო, პირველმა ააშენა ქალთა მონასტრები. ერთ-ერთი პორტრეტია პირველი მფრინავი ქალის. ასევე, მე ძალიან მომწონს ცხენოსანი ქალის ისტორია. კომუნისტების დროს მძიმე წლებში მოუწია ცხოვრება, რადგან კომუნისტური რეჟიმი ყველაფერს იტაცებდა. ამიტომაც ის ძალიან ცუდ პირობებში იმყოფებოდა. ტყესთან ახლოს პატარა სახლში ღარიბულად ცხოვრობდა, მაგრამ სამაგალითო შემართება ჰქონდა. არასოდეს არ იყო უბედური. ის საოცრად სევდიანი ქალბატონი იყო. არსებობს ურთულესი ჯირითის ტრადიცია და უკვე 50 წელია ვერავინ მოიგო. ის იყო პირველი და ერთადერთი ქალი, რომელმაც ჯირითის მოგება შეძლო. ასევე წარმოდგენილია მზარეული, რომელმაც პირველმა გამოსცა სამზარეულოს წიგნი. ქალთა უფლებადამცველი ფრანტიშკა ფლამინკოვა ქალებისთვის იბრძოდა და ბევრს ცდილობდა ქალები და მამაკაცები თანასწორნი ყოფილიყვნენ. მარია შმოკლოვას ცხოვრების მაგალითი ახლა განსაკუთრებულად აქტუალური ხდება, რადგან ახლა ისრაელში საომარი მოქმედებები მიმდინარეობს. ბიზნესმენი ანნა ნაპრსტკოვა ძალიან საინტერესო ქალბატონია, მისი შვილი ცნობილი ეთნოგრაფი იყო და მუზეუმების მშენებლობა დაუფინანსა საკუთარ შვილს“.

ილია მარტყოფლიშვილი

რა ეკონომიკური სიახლეები იგეგმება?

ეკონომიკური საბჭოს წევრებმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ სხდომაზე ეკონომიკის მიმართულებით ქვეყანაში არსებული დადებითი ტენდენციები მიმოიხილეს. იმსჯელეს 2024 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტულ მიმართულებებზე.

საბჭოს სხდომაზე განიხილეს მრავალშვილიანი, უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხი. პრემიერის თქმით, 1000-ამდე ასეთი ოჯახს მთავრობა შეუძენს ბინებს. მთავრობის მეთაურმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჯანდაცვის მინისტრისგან კონკრეტული გეგმა მოისმინა. აღინიშნა, რომ პროგრამა მომავალი წლიდან დაიწყება და ჯამურად დაახლოებით 50 მილიონი ლარი დაიხარჯება.

სხდომაზე განიხილეს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ახალი პროგრამები ბიზნესის მხარდაჭერის კუთხით, მათ შორის მიკროსესხების პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს მიკრო და მცირე მეწარმეთა ფინანსების ხელმისაწვდომობის ზრდას.

მთავრობის მეთაურმა ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე მოისმინა სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესრულების ანგარიში. აღინიშნა, რომ დღეის მდგომარეობით პრივატიზებულია 180 000 000 ლარის სახელმწიფო ქონება, საიდანაც ცენტრალურ ბიუჯეტში უკვე გადარიცხულია 121 445 138 ლარი.

ეკონომიკური საბჭოს წევრებმა იმსჯელეს სახელმწიფო საწარმოების რეფორმირების საკითხზე. აღინიშნა, რომ 2022 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგია. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა კანონზე, რომლის პირველადი ვერსია შემუშავებულია და მიმდინარეობს განხილვები დაინტერესებულ მხარეებთან.

სხდომაზე განიხილეს CFD აუქციონების შედეგები და ახალი აუქციონის გამოცხადების მიმდინარეობის პროცესი.

მხარდაჭერის სქემის ფარგლებში უკვე განხორციელდა პირველი აუქციონი, რომელიც გამოცხადებულ იქნა 300 მეგავატ დადგმულ სიმძლავრეზე.

უახლოეს პერიოდში იგეგმება სიმძლავრის აუქციონის მეორე ფაზის გამოცხადება, სავარაუდოდ, 600 მგვტ სიმძლავრეზე, რომლის ფარგლებშიც განაცხადების მიღება მოხდება ჰიდროელექტროსადგურებზე, ქარისა და მზის ელექტროსადგურებზე.

ოთარ და ნინო ხარაშვილები ოჯახებით, სამძიმარს უცხადებენ დეკანოზ პეტრეს (ხუმარაშვილი) და მის მეუღლეს, მაია ნათლიას დედის

იზოლდა გოსტოღანაშვილ-ხუმარაშვილის

გარდაცვალების გამო.

სტატისტიკა მზარდი, მოტივაცია კიდევ უფრო მზარდი!

/დასაწყისი გვ.3/

დაბრკოლება. მე ამისთვის მზად ვარ და ყველაფერს გავაკეთებ ახალი გამარჯვებებისათვის.

მარიამ ტოკლიკიშვილი, №1 საჯარო სკოლის მეათეკლასელი – ჩემი ყოველდღიურობა არ შეცვლილა, თუმცა მომცა მეტი თავდაჯერებულობა, რადგან ჩემი შრომა დაფასდა. რა თქმა უნდა, ვეთანხმები ამ მოსაზრებას, რადგან იმისთვის, რომ მიაღწიო რაიმეს, უნდა იშრომო და ამ შრომის შედეგად მოპოვებული გამარჯვება ნამდვილად არის საამაყო. ეს იყო იმის დასტური, რომ შრომა არ იკარგება და ნამდვილად ფასდება, ამიტომ ამიმაღლდა მოტივაცია სამომავლოდ ახალი და ახალი გამარჯვების მისაღწევად.

გიორგი ლოლაშვილი, №1 საჯარო სკოლის მეათეკლასელი – დიახ, ჩემი რეალობა შეიცვალა, ძალიან მიხარია, რომ ჩემი შრომა დაფასდა და ამან თავდაჯერებულობა შემმატა. ცხოვრება დაუსრულებელი ბრძოლაა უზრუნველი ცხოვრებისთვის და ყველაზე საამაყო ჩვენივე შრომით მოპოვებული გასამრჯელოა. ჩემი მოტივაცია უფრო გაიზარდა და ძალიან მსურს, კიდევ უფრო მეტი გამარჯვება მოვიპოვო.

გურამ გოგაშვილი, №1 საჯარო სკოლის მეათეკლასელი – ჩემი ყოველდღიურობა ახალმა რეალობამ ვერ ვიტყვი,რომ რადიკალურად შეცვალა, რადგან ეს ჩემთვის ახალი არაა, ყოველთვის ჩართული ვიყავი ძალიან ბევრ ექსპედიციებში, პროექტებში, კონკურსებში და თითქმის იგივე ხდება ახლაც. იგივე გრძელდება სწავლის და შრომის თვალსაზრისით. უბრალოდ გაიზარდა პასუხისმგებლობები სკოლოს,პედაგოგების და საკუთარი თავის მეტად რეალიზების მხრივ. რაც შეეხება თავდაჯერებულობას, ახალგაზრდულ იდეაში ჩართვამ, ცხადია შემმატა თავდაჯერებულობა. ზოგადად,როდესაც შენ შენი მიზნისთვის შრომობ, შეცდომებსაც უშვებ,

იღებ გამოცდილებას ამა თუ იმ საკითხში და შენ ეს შრომა გიფასდება, თავისთავად თავდაჯერებულობაც მატულობს. ჩემი მოსაზრება იმ ფრაზას ემხრობა, რომ ცხოვრება ბრძოლაა და ამ ბრძოლაში ყველაზე მეტად საამაყო რაც შეიძლება იყოს,ეს არის შენი მხრიდან მიღწეული წარმატება. ვინაიდან შენ ამ წარმატების მიღწევისას იძენ ისეთ უნარებს,რა უნარებსაც ვერასოდეს ვერ შეგძენს სხვისგან გაკეთებული საქმე, წარმატება - ეს ნიშნავს ახალ შესაძლებლობას, მხოლოდ იმოქმედო უფრო ჭკვიანურად. ამ თეორიამ ბევრი გამარჯვება მომიტანა და თუ არა ჩემი ჩადებული ნაღდი შრომა, ეს ყველაფერი ციდან არ ჩამოცვივდებოდა. თუ ხარ ერთ კონკრეტულ საქმეში მაგარი და შენს თავს მაქსიმალურს სთხოვ,შენ აუცილებლად გამოგივა კიდევ ბევრი. მე გამოწვევების და სიახლეების გარეშე ვერ ვძლებ. ცხოვრება მოსაწყენია თუ ახალი გამოწვებები არ გიდგას წინ. ყველა ჩემს მეგობარს ჩემნაირ და მსგავს საინტერესო სასკოლო ცხოვრებას ვუსურვებ, ჩვენ უნდა შევქმნათ ამ ქვეყნისთვის ახლებური და ძალიან მაგარი მომავალი.

ელენე კოხტაშვილი, №2 საჯარო სკოლის მეათეკლასელი - ახალმა რეალობამ მე ნამდვილად შემმატა უფრო მეტი თავდაჯერებულობა, რადგან გავერკვიე საკუთარ თავში,მივხვდი, რა მსურს, რა მომწონს, ვისწავლე საკუთარი თავის ფასი, შევიყვარე საკუთარი თავი ისეთი, როგორიც ვარ და, ამავდროულად, შევცვალე ის ნაკლოვანებები, რაც არ მომწონდა. ახლა ბევრად განსხვავებულად ვუყურებ სამყაროს. დიდად არ მაინტერესებს, სხვები რას ფიქრობენ ჩემზე, ან რა შთაბეჭდილება რჩებათ, ან თუნდაც სურთ თუ არა მათ ჩემთან დაახლოვება და მეგობრობა? ამის ნაცვლად სიტუაცია შემოვატრიალე და ახლა, როდესაც ხალხს ვხედავ, იმაზე კი არ ვფიქრობ, ჩემზე რას ფიქრობენ, არამედ, მე რას ვფიქრობ მათზე. ამის წყალობით გარემოცვაში სასიამოვნო ხალხი მყავს, რომლებიც დადებით ზეგავლენას ახდენენ ჩემზე და დღითი დღე ვვითარდები. მე ვფიქრობ,რომ ცხოვრება მართლაც ბრძოლაა და იმის მიუხედავად, რომ გარშემო ბევრი საყვარელ ადამიანი გვყავს, ამ ბრძოლაში მაინც მარტო ვართ. მართალია, ბევრმა შეიძლება ხელიც შეგიწყოს, მაგრამ შენ თუ არ მოინდომე, ვერავინ დაგეხმარება საკუთარი თავის გარდა. ჩვენ ჩვენი ცხოვრების მთავარი შემოქმედები ვართ და ეს უნდა დავამტკიცოთ. მიზნის მისაღწევად ყველაფერი უნდა გააკეთო და დარწმუნებული იყო საკუთარ თავში. მხოლოდ ასე თუ მიაღწევ წარმატებას. მე პირადად ძალიან ვამაყობ საკუთარი თავით, როდესაც რაიმე გამარჯვებას ვაღწევ, რადგან ვხვდები, რომ ამ შრომას შედეგი აქვს.

მიხეილ ჩუთლაშვილი, №2 საჯარო სკოლის მეათეკლასელი - პირველ რიგში დიდ მადლობას ვუხდი განათლების სამინისტროს, რომელიც ამ საჩუქრით დიდ მოტივაციას გვაძლევს.მადლობა ჩემს პედაგოგებს, რომლებმაც ძალა და ცოდნა არ დაიშურეს, რომ მე წარმატებისთვის მიმეღწია. რა თქმა უნდა, მომემატა თავდაჯერებულობა და უფრო მეტი სტიმული მომეცა, ვისწავლო კარგად, წარჩინებით დავამთავრო სკოლა, სასურველ პროფესიას დავეუფლო და ჩემს ქვეყანას გამოვადგე. მე ბევრი შრომა დამჭირდა, რომ ამ წარმატებისთვის მიმეღწია, ხოლო შედეგი მაშინაა სასურველი, თუ მას წინ უძღვის შრომა და გარჯა. დღევანდელ ცხოვრებაში ჩემს თანატოლებს შორის ბევრია წარმატებული და მომავალშიც გამარჯვებას რომ მივაღწიო, კონკურენტუნარიანი უნდა ვიყო, ოღონდ ვინმე დავჯაბნო კი არა, არამედ შემდგარი, ჩამოყალიბებული ადამიანი და მოქალაქე ვიყო. ამ ჯილდომ ამიმაღლა მოტივაცია, მინდა წარმატებით დავამთავრო სკოლა, გავხდე სტუდენტი და მოვემზადო ახალი გამოწვევებისთვის. ვულოცავ ყველა დაჯილდოვებულ ჩემს თანატოლს ამ გამარჯვებას“.

ლუკა მენთეშაშვილი, N1 საჯარო სკოლა-ახალმა რეალობამ ჩემი ყოველდღიურობა, რათქმა უნდა, შეცვალა, რადგან მომეცა უფრო მეტი სტიმული და მოტივაცია, რომ კიდევ ბევრ და ბევრ წარმატებას მივაღწიო.

მე, რა თქმა უნდა, ვთვლი, რომ ცხოვრება ბრძოლაა და მე ამ ბრძოლაში მარტო არ ვარ, ჩემს გვერდით არიან ჩემი ოჯახის წევრები, მეგობრები, მასწავლებლები და ზუსტად მათთან ერთად და მათი დახმარებით მივაღწიე ამდენ წარმატებას. მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მასწავლებლებს, რადგან ისინი რომ არა, მე პირველ რიგში ცოდნას ვერ მივიღებდი და შემდეგ წარმატებას ვერ მივაღწევდი. კიდევ მინდა დიდი მადლობა გადავუხადო დედას, რადგან ის რომ არა, მე ახლა ასეთი არ ვიქნებოდი და ვერ გავახარებდი ჩემი წარმატებით. მან მასწავლა ის ყველა ფასეულობა, რაც დღევანდელობაში მართლაც საჭიროა-პატივისცემა, ზრდილობა, სწავლისა და განათლების ფასი...

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 33-ვე წარჩინებულ და კომპიუტერით დაჯილდოვებულ მე-10 კლასელებს: ***ნიკოლოზ რობიტაშვილს,*** (1 საჯარო), ***საბა უზუნაშვილს*** (1 საჯარო), ***ირაკლი საბიაშვილს*** (1 საჯარო), ***თათია ბოჭორიშვილს*** (1 საჯარო), ***ნიკოლოზ გველუკაშვილს*** (1 საჯარო), ***ანანო გიგაურს*** (1 საჯარო), ***გურამ გოგაშვილს*** (1 საჯარო), ***გიორგი ლოლაშვილს*** (1 საჯარო), ***ლუკა მენთეშაშვილს*** (1 საჯარო), ***კახი პოპიაშვილს*** (1 საჯარო), ***მარიამ ტოკლიკიშვილს*** (1 საჯარო), ***გიორგი ღვედაშვილს*** (1 საჯარო), ***ლაშა ჭუბაბრიას*** (1 საჯარო), ***მიხეილ ჩუთლაშვილს*** (2 საჯარო), ***ელენე კოხტაშვილს*** (2 საჯარო), ***საბა ზურიკაშვილს*** (სამრეკლოს სკოლა), ***ვალერი სისაურს*** (სამრეკლო), ***ალეკო ცაკაშვილს*** (სამრეკლო), ***თათული ჯოჯიკაშვილს*** (სამრეკლო), ***თათია გოდერიძეს*** (ხორნაბუჯის სკოლა), ***ნია ჯარიაშვილს*** (ზ. მაჩხაანი), ***სანდრო მოსულიშვილს*** (ოზაანის სკოლა), ***მარი არაბულს*** (გამარჯვების სკოლა), ***ელენა პოპიაშვილს*** (გამარჯვების სკოლა), ***ანა ქისტაურს*** (ზემო ქედის სკოლა), ***ია მელიქიშვილს*** (ზემო ქედის საჯარო), ***ნათია ხარებაშვილს*** (ზემო ქედი), ***ნატა მარსაგიშვილს*** (ზემო ქედი), ***მარიამ ზაქაიძეს*** (არხილოსკალოს სკოლა), ***გიორგი ზვიადაურს*** (არხილოსკალოს სკოლა), ***კობა ცაბაურაშვილს*** (ქვ. ქედი), ***ლაშა ხარხელაურს*** (ქვემო ქედი) და ***სერგი ხუციშვილს*** (ქვემო ქედი).

რედაქცია ულოცავს პორტაბელური კომპიუტერებით დაჯილდოვებას, უსურვებს თითოეულ მათგანს უდიდესი წვლილი შეეტანოთ და საკუთარი სიტყვა ეთქვათ ჩვენი სამშობლოს განვითარების საქმეში.

ელზა ხარაშვილი

ულოცავენ!
ნინო საყვარელიძეს!

ჩვენო ოჯახის ექიმო და ოჯახის საყვარელო წევრო, გილოცავთ დაბადების დღეს. მინდა, ყველაფერი საუკეთესო გისურვო. შენ ხომ ძალიან კარგი ექიმი და ადამიანი ხარ! ამიტომაც, ყველა პატივს გცემს და სიყვარულსაც იღებ შენს მიერ გაცემული სიკეთისა და მადლის გამო.

ექიმი ბევრია, მაგრამ ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული – ცოტა. დიდხანს იყავი ჯანმრთელი და ბედნიერი შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

სიყვარულით და კეთილი სურვილებით
ნანა სიფრაშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 20.11		სამშაბათი 21.11		ოთხშაბათი 22.11		ხუთშაბათი 23.11		პარასკევი 24.11		შაბათი 25.11		კვირა 26.11	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	13°	4°	9°	0°	11°	1°	14°	3°	12°	1°	11°	1°	12°	1°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი